კვირა 20 აპრილი

ფასი 5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათრახი

№ 13. იუმორისტ. ჟურნალი




**გახრული პასკა.**

ჩვენს ქალაქში გამოაცხვეს
დიდი პასკა გემრიელი,
ასი ფუთი ერბო-კვერცხი
იყო მასში შენაზელი.

მყის გაიგეს სათაგვეთში
პასკის სუნი საამური,
ჭამის მადა მოუვიდათ,
დააცქვიტა ყველამ ყური.

გარს მოუსხდენ ბელადები,
შორი ახლოს თაგვთა ჯარი,
ხრავენ პასკას ნელა-ნელა
სუქდებიან როგორც ხარი.

**შამფური.**

# სააღდგომო სკვინჩაობა.

(დასასრული)

საჩქაროთ მივადექით რედაქტორის ბინას და ზარს ჩამოვკარით, კარები თვით რედაქტორმა გაგვიღო. წასასვლელათ გამზადებული იყო.

— ქრისტე აღსდგა! მხიარულად ერთათ მივაძახეთ მე და პოეტმა.

თუ ღმერთი გწამთ თავი დამანებეთ. ნახეთ ერთი როგორ აღდგა ჩემს ოჯახში. მოდი კაცმა და იმუშავე ამისთანა გამომცემლებთან. აბა შეიხედეთ ჩემს ოთახში ერთ პასკის ნატეხს თუ იპოვნით სადმე. წუხელ ჩემმა ცოლმა და ბავშვებმა კინაღამ ჯვარზე გამაკრეს. კაცო, შემპირდა გუშინ საღამოს მოგცემ ფულსაო და მთელი დღე რედაქციაში არ შემოსულა, გაიპარა სადღაც და დამტოვა მშრალზე. ეხლა მასთან მივდივარ და თუ არაფერი მომცა არ ვიცი რას ვიზამ.— მწუხარეთ წარმოსთქვა რედაქტორმა, კარები გამოიკეტა, გვერდით ჩაგვიარა და გაუდგა გზას.

ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. საბრალო პოეტს თვალები აეცრემლა. ვინ იცის რამდენ ლუკმა პასკას მოელოდა და პირლია კი დარჩა.

დაღრეჯილებმა შევხედეთ ერთი მეორეს და გულ მოკლულები დავეშვით კიბეზე.

—საით წავიდეთ? -მწუხარეთ შემეკითხა პოეტი.

— მოდი ისევ ნაცნობ თავადიშვილს მივადგეთ კარებზე, თუ გამოვძეხით იქ.

პოეტი გამხიარულდა.

საჩქაროთ გავქანდით და წამს თავადის კარებთან დავიბადეთ. კარებთან მრავალი ხალხი იდგა და კარების გაღებას ელოდა. ჩვენც გავჩერდით. ცოტა ხანს შემდეგ თავადმა კარები გამოაღო და გამოიქვრიტა. იქ მყოფი ხალხი ჩაათვალიერა. უცბათ სახე მოეღრუბლა და საზარელი ხმით დაიღრიალა:

—დაიკარგეთ აქედან, რა ამბავია თქვე ოხრებო ყველა მევალეები ამ აღდგომა დილით მომადექით, განა არ შეიძლებოდა ცოტა მოგეცადათ?

—ვაჭარი ხალხის საქმე ხომ იცი ბატონო.—დაიწყო ერთმა, მაგრამ თავადმა არ დააცალა, დიდ კეტს წამოუსო ხელი და გარეთ გამოვარდა. გულ გახეთქილი ხალხი აქეთიქით გაიქცა და ჩვენც თავს ვუშველეთ, რადგან მოსალოდნელი იყო გონება დაკარგულ თავადს ჩვენთვის ედრუზებია კეტი.

პოეტი სიბრაზისაგან კინაღამ დაიხრჩო.

ცოტა დაფიქრების შემდეგ საუცხოვო აზრი დამებადა და მყისვე პოეტს გავუზიარე.

დაგვრჩენია ერთათ ერთი საშუალება, წავიდეთ ჩვენ ნაცნობ ივანესთან, ის ხომ ქალაქის მართველობის მოსამსახურეა, ბაზრის უფროსი —აი იქ იქნება პასკები და კვერცხები.

გავქანდით ივანესკენ.

კარებთან იქაც აუარებელი ხალხი იდგა, მაგრამ ხელ ცარიელი არავინ იყო. ზოგს ვებერთელა პასკა ეჭირა ხელში, ზოგს ღორის ბარკალი, ზოგს თაბახით კვერცხები და ელოდენ ივანეს გამოსვლას. ივანეც გამოვიდა. ყველამ თავი დახარა და აღდგომა მიულოცა. ივანე მხიარულად შეუძღვა ყველას ოთახში და ზრდილობიანათ ჩამოართვა ბარგი. ჩვენც არ დავრჩით უყურადღებოთ. მეძღვნე ხალხის გასტუმრების შემდეგ ჩვენც მიუჯექით სუფრას. პოეტი ისე დაეწაფა სასმელ საჭმელს რომ გული შეუწუხდა და წყლით ძლივს მოვაბრუნეთ. ორი საათის ჭამა-სმის შემდეგ ქუჩაში გამოვედით და გოლოვინის პროსპექტს შევჰყევით სიმღერით. პოეტი ძლიერ კარგ გუნებაზე იყო. ლექსებს ისე ჰყრიდა პირიდან როგორც სეტყვას. თეატრის შესავალ კარებთან ისევ მსახიობებს წავაწყდით, ზოგს მათგანს ტკბილათ ეძინა და ზოგსაც ჩხუბი გაემართა. იქვე კარებში შეგვხვთა ვიღაც გძელ ცხვირა კაცი გაგვიღიმა და გაგვაჩერა.

—გთხოვთ მობრძანდეთ, დღეს ისეთი ხაში მოვამზადებინე, რომ ამ ქალაქში უკეთესი არ იქნება. მოპატიჟებული მყავს ჩვენი [illegible]ები და ექიმები. სამი დღეა ფულებს ვაგროვებ. საცა არის მოვლენ.

ხაშის ხსენებაზე პოეტი ცუდ გუნებაზე დადგა, ვეღარ მოითმინა და გძელ ცხვირას თავში ჩაარტყა. გაჩაღდა ჩხუბი, მსახიობებიც ჩამოგვერიენ. საიდგანღაც გოროდოვოიც გაჩნდა და მე და ჩემ პოეტს საპოლიციო ნაწილში ამოგვაყოფინა თავი. იქ დასრულდა ჩვენი აღდგომის სკვინჩაობა.

მათრახაძე.

## სატრფოს.

ტურფავ, ვისთან იმყოფები,
სად არს შენი მკვირცხლი სახე?
შავი თვალნი, ცრემლის მფრქვევნი,
ერთხელ კიდევ დამანახე!
მითხარ სად ხარ, საით მხარეს,
ვინ არს ნაზო შენი მცველი,
ვის შესცინი, გამაგონე,
კვლავ სიმღერა, ჩანგი—მწველი!
შენთვის, სხივო უშრეტელო,
გადმოვლახე გზა უვალი,
შენში ვპოვე მე სიცოცხლე
და ბრწყინვალე მომავალი.
ვერც გზამ ეკლით მოფენილმა,
ვერც ამოწვდილ მტრისა ხმალმა,
ვერ შეაკრთო ჩემი გული,
ვერავითარ ტლანქმა ძალმა.
მაინც მოველ შენს ტახტამდის
და ბრძოლის ველს გადავეშვდე,
ამდენი ხნის ტრფობა ჩვენი,
ერთი კოცნით მე აღვბეჭდე!
მხოლოდ ერთი კოცნა მახსოვს,
ეშხით ვიყავ იმ დროს მთვრალი,
მერე საით გამიფრინდი,
ვეღარ მოვკარ მე შენ თვალი!
ნუ თუ მხოლოდ წუთისათვის
განვიცადე მე წამება,
შენთან სულო, ტკბილო სულო,
არ მეღირსა ნეტარება!..
მითხარ, მითხარ, შევარდენო,
სად არს შენი მკვირცხლი სახე,
შავი თვალნი, ცრემლის მფრქვევნი,
ერთხელ კიდევ დამანახე!

გოგია.



# ტელეფონი.

— ღმერთმა შენი თავი კარგათ მიმყოფოს, კირილე ჩემო, რავა ხარ გენაცვალე მაგ გაბარდნილ წვერულვაში. რას ამბობ ბოშო? იმე რავა გეკადრება, შენისთანა წვერულვაში მთელ კაკკ-სიაში არავის ექნება. სხვა კირილე ჩემო, რავა გაატარე აღდგომა? რა? არ მესმის! ავათ ხარ? რა დაგემართა ბოშო? წელი გეტკინა? ხაპი ხომ არ იყავი რომ დაგორდი? ტალახში და წვიმაში მეც დავდიოდი, მარა კი არ მიგორავებია. რა უშავს მერე წადი აბანოში სოლომონა რაჭველი კარგად დაგზელს და ხელათ მორჩები. თეატრში? რავა არა, გენაცვალე, აღდგომა მეორე დღეს გამევიწკიპე და წავედი მარა საშინლათ შემცივდა მარტო მე ვიყავი მთელ თეატრში გამოჩიჩინებული. ჩემს მეტი კაცი არ ყოფილა. კარგათ კი წეითამაშეს არტისტებმა ვაცხონე იმათი მამის სული. მეორეჯერ მინდოდა წასვლა, მარა მივედი და აღარავინ დამხვდა წარმოდგენა გადადევსო. ბიჭო, კირილე რა მოგივიდა, რა ამბავია, ღმერთო ჩემო? წელი გეტკინა? აღარ შეგიძლია ლაპარაკი? კარგი ჩემო ძმავ თავს რათ იკლავ, ჩამოკიდე შენი ტრუბა და დაწევი. მშვიდობით.

—

— უჰ! ვინ ხარ! იქნება სიონის სობორო გგონია, ჩემო ძმავ, ჩემი ტელეფონი. ბიჭოს! აღარ გაათავებ? ვინ ხარ ვინ? რაა? „ფიქრი?“ რის ფიქრი ჩემო ძმავ? ფიქრი კი არა ისეთი მუსაიფის გუნებაზე ვარ რომ თუ გინდა მთელი საათი გელაპარაკები? რა? რედაქცია? ჰეი, ჭკუაზე მოდი ვიღაცა ხარ? მთავარი რედაქტორი ცინცაძე? ცინცაძეცა ხარ და ჩინჩხვაძე, რა თავს იგდებ ვიღაცა ხარ, რა მეცინცაძება თუ ღმერთი გწამს მე გაბრიელი გახლავარ გაბრიელ ყორყოტაძე. რას მემასხრები თუ ძმა ხარ. ერთი გამაგებინე თუ ძმა ხარ, რა კაცი ხარ, ვინ ხარ. რა? დეპუტანტი? რის დეპუტანტი ბატონო ჩემო? დუმის? ხა, ხა, ხა, ხა. ისე გულიანად ვიცინი რომ ტრუბა კინაღამ გამივარდა ხელიდან. რის დუმისო, ცხვრის თუ ინდოურის? ნუ მასხარობ, თუ ძმა ხარ, მითხარი ვინ ხარ? დუმის დეპუტანტი ვარლამ გელოვანი? უიმე, ბატონო ჩემო, შიშით სული გამძვრა, ბოდიში, დიდი ბოდიში. თავს გიკრავთ ბატონო ვარლამ—სხვებ როგორ გიკითხოთ, როდის ჩამობრძანდით“? როგორ ბრძანდებით? რას გვიბრძანებთ? ცინცაძე? რ ომელი ცინცაძე გნებავთ ბატონო. დიახ, ვიცი რომ რაღაც შარი მოგდევს გაზეთში. მერე რა ბატონო თქვენისთანა მოხერხებული კაცი ყველაფერს გააკეთებს. უჩივლეთ? ძალიან კარგი გიქნიათ, დიახ ვიცნობ ცინცაძე ფიქრის მთავარი რედაქტორი იყო და უსათუოთ ჩამოხრჩობა არ ასცდება. როდის ჩამობრძანდით ბატონო? ამ რამდენიმე დღის წინად? სასიამოვნოა. ქუთეისი არ ნახეთ? ისე მიგელიან თურმე რომ სიხარულით ფეხზე აღარ დგანან. დიახ, აბა თქვენ იცით რა დღეს დააყენებთ მაგ ცინცაძეს და სხვებს. მე მგონია, ბატონო, იმათთვის უწინ უნდათ გეჩივლათ ვინც ის წერილი ააწყო, რომ არ აეწყოთ ხომ არ დაიბეჭდებოდა? გახლავართ თქვენი-ჭირიმე ისე. ასე ჩქარა რათ მიბრძანდებით? მარტო საჩივლელათ ჩამორძანდით და სანამ საქმე გაირჩეოდეს დეპუტატობის ვადაშიც გაათავებთ? კაი დაგემართოთ. მშვიდობით, ჩემო ბატონო, უკაცრავათ რომ შეგაწუხეთ. თუ არ შეწუხდებით თქვენი ტრუბა ჩამოკიდეთ.

ტირიფი.

# სააღდგომო სიზმარ-ცხადი.

I

ცა მოღრუბლული წინწკლავდა,
ხან გაუქროდა ბორია,
შავ ნისლით დაბურულიყო
ზემოთ სამების გორია.
გზებზე ტალახი ქეფავდა,
ტომბოყო ღელე მიჰქროდა
და მეზობლებში აქა-იქ
ძაღლების ყეფა ისმოდა.
ეს იყო—ხალხი ამდგარი
ვიზიტზედ დაყიალობდენ,
ხან ეფუ-აჯან ისმოდა
ხან ქრისტე აღდგას გალობდენ.
მხოლოდ არ მწამდა მე ერთსა
გულს სევდა მაწვა ვით ლოდი,
როდის აღსდგება მართლა ის
გულ-ნაღვლიანად ვფიქრობდი.
ასე უგუმურ ფიქრებში
მზის სხივი ჩაქრა ცაზედა,
და მეც, ხასიათ დახშულმა
მივწექი მუთაქაზედა.
მძინავს და ვითომ ფოთში ვარ
ზარებმა შექნეს ზრიალი,
იქ სობოროში მოისმის
თითქოს ყვირი-ღრიალი!
მივედი ვნახე, რას ვხედავ—
არის ხუცების ბრიალი,
წვერების ქიჩვა, თმის წეწვა,
ანაფორების ფრიალი!..
დაქანდა მამა არსენი
იძრო ბებუთი წარმალა
და მახარაძე ხუცესი
კინაღამ გააწარმალა.
შვაზე ჩამდგარი აქვსენტი
მოზავეთ ეჩხირებოდა,
მაგრამ წყეული მუშტებით
კალმახივითა ხტებოდა.
ხალხი უცქერდა სეირსა
სანახაობით სტკბებოდა
და ამ დროს, ეპისკოპოზი
კარეტით მობრძანდებოდა,




**ფოთის მამები.**

მოდით და ნახეთ გეთაყვა, ჩვენი, სულისა მამები,
ჩხუბში და მუშტი-კრივებში ალარ ყოფილან ხამები!..
ველარ გაიყვეს აღდგომას—პასკა, კვერცხები, დრამები
და დასცხეს ერთი-მეორეს—ბებუთები და ყამები.

**ნიორი.**

საყდარში ფეხი შეადგა
მაგრამ ეხ თქვენი მტერია,
მათ მეუფება რას ხედავს
კინალამ გადაგვერია.

არც ცერემონით შეხვედრა
არც ფეხ ქვეშ გასაფენია,
სულიერ მამებს მოჩხუბრებს
პირზე არმული შთენია.

შეკრთა შეშფოთდა მეუფე
თმებში იტაცა ხელია,
ფერი ეცვალა აღელდა
ცრემლი გადმოსკდა ცხელია.

II

იცვალა სიზმრის სურათი,
გავჩნდი მეუფის ბინაზე,
უყურებ საქმის ძიებას
არსად არ მივალ ჯინაზე.

დეკანოზ არსენ რაინდი
გარ-გარე იარებოდა
და მახარაძე ბლაღოჩინს
ძიება ეჩქარებოდა.

აქეთ წულაძე ხუცესი
სად იყო არსად ჩნდებოდა,
მის შესაპყრობლად ფირმანი
ჟანდარმსა ეგზავნებოდა.

მეუფე ასე მოსთქვამდა:
წამიხაია ჭირნახულიო,
თუ ეს მთავრობამ შეგვიტყო
წაგვმწარდა გაზაფხულიო.

აქედან რომ აგვაბარგონ
ხომ დაგვეღუპა კუთხეო,
ავტო კეფალის მაგივრათ
ლოქოც არ გვექნეს მწუთხეო.

არსენი ასე იმღერდა:
რკინებრ გამაგრდი გულოო,
ყაჩაღად მაინც ვივარგებ.
თავი რომ მოვიძულოო.

არა ვინ დამსჯის ყველასთან
ნაცთობსა, გამობრძნილსაო
აუარებელ ქანქარის
შექმაში გამოცთილსაო.

სხვა რამდენი რა მიქნია
ნუ წამიწყდება სულიო,
გაჩერდენ, თორემ ნამუსი
მათიც მაქ შენახულიო.“

ამ შფოთში გამომეღვიძა,
ძგერა ამიტყდა გულისა,
ნეტავ რას ნიშნავს სიზმარი
ღამისა გაზაფხულისა.

ორშაბათ დილას ახდაო,
გული აღარა სჯერისა...
ნუ თუ ამ საქმეს ჩაიდენს
მაცხოვნებლები ერისა?!..

**შხანკოლა.**

# ახალი ამბები

✦ 12 აპრილს საღამოს ქართულ კლუბს ეწვია რუსის პოეტი ბალმონტი. მთელი საქართველო აღფრთოვანებით შეეგება. სანდრო ყანჩელს ექვსი კოკა „რეჩი“ აღებინა პირიდან, ხოლო გ. დიასამიძეს ორი თუნგი ცრემლი წამოსკდა თვალებიდან. ყანჩელმა, როგორც მთელი საქართველოს ყველა კულტურულ დაწესებულების წარმომადგენელმა, პირველმა განცვიფრებაში მოიყვანა რუსის პოეტი თავის მოხდენილი სიტყვით. ვახშამზე შთაინთქა ცხრამეტი ტიკი ღვინო.

✦ თფილისის მაძებარმა პოლიციამ 9 აპრილს ერევნის მოედანზე დაატუსაღა ვიღაც კაცი, რომელიც ტრამვაის ლიანდაგზე იჯდა და რაღაცას სწერდა. გამოკითხვის შემდეგ გამოირკვა რომ უცნობი კუჭიკო გელოვანი ყოფილა, რომელიც ამ დღეებში გაძოპარულა პეტერბურგიდან. ერევნის მოედანზე სწერდა არზას გაზეთ „ფიქრი“-ს კანტორის ყოფილ მოხელის შესახებ, რომლითაც ამტკიცებს თუ მე უხუთელი გლეხები მოვატყუე და აფერისტი ვარ კანტორის მოხელეც რედაქტორი არის და უნდა გამისწორდესო. პოლიციამ არზა ბრალმდებელს გაუგზავნა, ხოლო გამოპარული დეპუტატი ზეგ დილით „ეტაპით“ იგზავნება პეტერბურგში.

✦ ამ დღეებში თფილისის რკინს გზის სადგურზე „სახალხო გაზეთი“-ს და „ჩვენი ერი“-ს რედაქტორებს დიდი შეტაკება მოუვიდათ. საბარგო განყოფილებაში მისაღები იყო პეტერბურგიდან გამოგზავნილი ბარგი. რედაქტორები ერთმანეთს ეცილებოდენ ბარგს. საქმე იქამდე მივიდა რომ ასტყდა რევოლვერების ჭახა-ჭუხი. პოლიციელებმა ორივე რედაქტორი დაატუსაღეს და საპოლიციო ნაწილში მიიყვანეს. თან წაიღეს ბარგიც. ბარგში თევდორე ღლონტი აღმოჩნდა, რომელიც უტყუარ საბუთების ძალით „ჩვენი ერი“-ს რედაქტორს ერგო.

✦ ფოთიდან გვწერენ ფრიად შემაძრწუნებელ ამბავს: საღამო ჟამს ეკლესიაში პატივცემულ დეკანოზ თ-ს „გაუპუტია“ (თმებიდან გაუცლია) მისი თანამწირველი მღვდელი მ. როგორც დამოძიებამ დაამტკიცა მამა დეკანოზს ერის კაცობაში დასჩემებია სხვის ზურგზე და თმებში ხელის ფათური, როცა ის ჯერ კიდევ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში იყო მასწავლებლათ.

✦ 19 აპრილს პოეტ ი. მჭედლიშვილის ბინაზე ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა მისი შავი ჩოხა, საწერი მაგიდა და აუარებელი ლექსები, რომლების გამოცემას ის ამ დღეებში ეპირებოდა. გაზეთ „ჩვენ ერ“-ში და „თემში„ მრავალი თანაგრძნობის წერილები მოათავსეს.

✦ გარდაიცვალა ძველი, მივიწყებული და ახლად გამოჩენილი მწერალი „თომა პუსა“. დაკრძალვა მოხდება ან ქუთაისში და ან თფილისში. მთელი ქართველი ინტელიგენცია თავ-პირს იხოკს ძვირფას მწერლის დაკარგვის გამო.

## ცნობილ „რაინდის“ სიმღერა.

(ჩიბათისათვის)

აზნაურობა მიხარის—
ჯოხის გადება მხარზედა,
სოფელში თრობა-ქეიფი,
ჩამოვლა კარი-კარზედა.
ჩემი „რაზმელი“ ბიჭებით
გამოსვლა შარა გზაზედა,
(მეტადრე როცა თავები
შეგვიხურდება ძალზედა
გამვლელ-გამომვლელ ქალებსაც
დავეკიდებით მკლავზედა).
ყაძახს თუ ხელში ჩავიგდებთ
ოცი მივდივართ მაზედა!
„აბა დაჰკარით მაგათო“
დავსძახებთ მედგარ ხმაზედა.
მიდის და მიდის ბლიკვები
გლეხის თავზე და ყბაზედა,
მაგრამ არ იქნა—ჯიუტი...
ვერ მოვიყვანეთ ჭკვაზედა.
თაყვანს არა მცემს ოხრები
და მით მოვდივარ ბრაზზედა
(მათ უნდათ ძველი დროება
იქით გადადვან განზედა!

—

აზნაურობა მიხარის,
ჯოხის გადება მხარზედა,
ვისაც არ მოვეწონები—
თავი მიარტყას ქვაზედა.

**წკიპარტი.**




# გურული სცენა

**ტირილის (ქელეხი) მოსპობა**

კაი დაგემართოს ძაან კაი იყოს ტირილის მოსპობა. დედა, მამა, შვილი ან ცოლი მოგიკვდება მეხი—

დაგეცემა, ოჯახი დაგექცევა, აგი არ კმარა ვითამ და ახლა უნდა გამართო ტირილი, მოვლენ ბატონო: ერი ბერი, ღვდელი დიაკონი, მალაზონი. გაძღებიენ, გასკდებიენ თითო დღის საგზალს შინ წეიღებენ, ოჯახს დაგიქცევენ და მეორე დღეს ასე ჩივიენ: კაი პურ-ღვინო და ტირილ-კურცხალი არ კაყოლია მიცვალებულსო. ვაი, სატირელათ გამიხთა თქვენი თავი. ჭამეთ, სვით და გასკდით იგი იყო, დღეი და ღამე ქე ვტიროდი ჩემს დღეს და მოსწრებას და მეტი რაღა თქვენი ოჯახის ამოგდება მექნა. აწი რავა მიწაში ხომ ვერ ჩავყობოდი მიცვალებულს? კი მომასწრებს ღმერთი იმას, რომ თქვენსასაც გააჩხიკინოს ვინმემ ფეხი და რავარცხა ტირილს გუუმართავთ ვეღარ დევინახავ?

იმის ოჯახი ააშენა ღმერთმა ვინცხამ მაგ ტირილის გადაგდება მეიგონა; ბიჭო! ამ ოჯახ-დაქცეულებს რომ ვინმე ავათ გუუხდებათ, სანამდი კუბოში ჩასადებად არ გახდება, მანამდი არავინ ყურს არ იბერტყავს. რავაც ფეხებს გააჩხიკინებს, და ჰაიდა ბიჭო... მერე ძროხასაც კი დაკლავენ, ქათმებსაც, ინდოურებსაც და გოჭებსაც ზედ მიაყოლებენ. აგი ტირილიო, იგი გამოტირილიო, სულის ახსნა, ალაპი და საკურთხიო! არა ბიძია, თუ რამე გაქვენ სიცოცხლეში მასვით და მაჭამეთ, თვარა, რომ მოვკდები მერე გინდა საკურთხი გამიკეთეთ და გინდა თავი გამიტეხეთ.

**რ. ჯიბილ.**

### ნოქართა კლუბში
(ძღვნათ ორ წევრს.)

ნოქართ კლუბის წევრებია,
ტერ გეურქა, კარაკაში,
„სტარშინობის მოტრფიალე,
ერთი მეორის დამქაში.

ტერ-გეურქა „მეტყველია“,
ვერვინ მოუგებს სიტყვაში,
კარაკაში „სოციალობს“
მხოლოდ ჰქვა აკლია თავში.

აგიტაცია გასწიეს
ამას წინად არჩევანში,
ორივ ერთად გააშავეს
თავი შეირცხვინეს ხალხში.

შერცხვენილნი, ლაფ-დასხმულნი,
გაიპარენ ჩუმათ კარში
და სხვა კლუბის დაარსება
განიზრახეს ამ ქალაქში.

სახელიც გამოუნახეს,
კლუბი ინტელიგენტური,
სიხარულით ქერს ქუდი ჰკრეს,
დაუარეს ბაღდადური.

ვინც გაიგო შეარცხვინა,
მოახსენეს საყვედური,
სასაცილოთ არვის ეყო
მათი აზრი სულელური.

კარაკაში „დრამატურგობს“,
კომედიაც გამოაცხო,
„ნოვი დელოში“ ნაჯღაბნით
ვითომ ჩვენს კლუბს ჩირქი მოსცხო.

ნეტა რა გსურს ვაჟ-ბატონო.
ან რა გინდა მაგით სთქვაო?
ნუ თუ არ გაგიგონია,
„მოდის სეტყვა, დახვდა ქვაო“.

ეხლა სინდისიც გაწუხებს,
ველარ ჩნდები ჩვენს ხალხშიო,
გირჩევ, რომ ჰქვა მოიგროვო,
მაგ ცარიელ გოგრაშიო.

ტერ-გეურქაც დაამშვიდე,
გაგიცრუვდათ წადილიო,
ხელიდან გამოგეცალათ
ვახშამი და სადილიო.

**ზენათობა.**

### ᲐᲓᲐᲛᲘᲡ ᲫᲔᲕ!

ადამის-ძევ! ამ ქვეყანას არგე რამ,
უკვდავების ნაყოფის ხე დარგე რამ,
არ იფიქრო ძვირფასი დაჰკარგე რამ,
თუ გსურს იყო ქვეყნის მოავკარგე რამ.

—

კარგათ იცი გმარითებს კეთილი სთესო,
ვით გვავალებს თვით ჯვარცმული იესო,
სხვისა ტანჯვით შენ უნდა დაიკვნესო
მტანჯველების გულში ცეცხლი აგვესო—
რომ ქვეყანას უჩვენო სიკარგე რამ.

—

ჩაიდინე ყოველ ჟამში სიკეთე,
იყავ ქვეყნის კეთილ-მდომი მოკეთე,
რაც შეიძლო მადლის საქმე აკეთე
შენსა გულსა ბოროტება მოჰკვეთე —
შენც შეიქმენ ქვეყნისათვის მარგე რამ.

—

რაც შეიძლო მოიქეცი ქველურათ,
არ იცხოვრო ევლ... მატყუარ... ველურათ
ახალ გზაზედ ნუ გაივლი ძველურათ
მით მნახველმა არ ჩაგთვალოს ველურათ,
სიკვდილამდენ შენგანაც ივარგე რამ.

—

გირჩევნია მისმინო ჩემო კარგო,
ბოლოს ჟამში ხომ უნდა აიბარგო
და თუ გინდა მკვდარმაც კიდევ ივარგო
ქვეყანაზედ სრულად არ დაიკარგო
შენსა სახელს ეხლავ მოუქარგე რამ.

**ან. განჯის-კარელი.**

## წერილები.

**ჭიათურა.** შაბათი 12 აპრილი აღსანიშნავია წითელი ასოებით ჭიათურის ისტორიაში. ამ დღეს განსაკუთრებული სადღესასწაულო ელფერი ედო, რადგან ამ დღეს მოელოდენ საპატიო სტუმარს, ლეიბხირურგს პეტერბურგიდან. ყველა წარჩინებულნი პირნი ამა ქვეყნისანი ფეხის ფრჩხილებზე იდგენ და გულმოდგინეთ ჰფერავდენ საპარადო ტანისამოსის ფოლაქებს. ქუჩებში მტვრის კორიანტელი იდგა, რადგან ორი-სამი წლის დაუხვეტელ ქუჩებს მადლიანი სტუმრის წყალობით ძლივს ეღირსა ცოცხი და ამდენი ხნის მოგროვილმა მტვერმა იფეთქა, როგორც ულკანმა და მოედვა ჭიათურის მიდამოს. მე დამაფიქრა ამ მოვლენამ და გავსწიე სადგურისკენ ამბის გასაგებათ. მივახწიე რა სადგურს, დავინახე ყველა მარილნი ამა ქვეყნისანი. ყველა რაღაც ფაცი-ფუცში იყო. ყველას „ვოროტნიკებზე“ და „გალსტუხებზე“ ჰქონდათ ხელი და ისწორებდენ, დავაკვირდი შორიდან და მთელი ჩემი ყურადღება ამ აუარებელ ხალხში, ერთმა გარემოებამ მიიპყრო. დავინახე რასაკვირველია, აურაცხელი კაცის თავები: ზოგი ცარიელი და ზოგი სავსე, მაგრამ მე მათ სავსე — სიცალიერეზე არ შევაჩერებთ. ეს საქმე პატივცემულ გრიგოლ მიხაილოვიჩისთვის მიმინდვია, დეე მან გუკეთოს „ვსკრიტიე“ და ის გაიგე-

ბს. მე დოსტაქარი არ გახლავართ და არც ჩემს მოვალეობას შეადგენს ტვინის უჯრედების სინჯვა მე მხოლოდ ის მინდა ვსთქვა, რომ იმ აუარებელ თავებთა შორის იხედებოდა ყველაზე დიდი და მრგვალი გურული კვახის მგზავსი თავი, რომელიც მოტვლეპილი იყო ხელის გულივით; მხოლოდ აქა იქ იხედებოდა იაქსავით წამომჯდარი რამოდენიმე ღერი ბალანი. ჩემდა განსაცვიფრებლათ უცებ გაჰქრა ეს უზარმაზარი თავი. მე დავინტერესდი, მინდოდა ვინ იყო ეს სულიერი და ან ასე უცებ სად მიიმალა. გაუჩქარე ფეხს, მივწი-მოვწიე ხალხი და შევნიშნე ეს უზარმაზარი, ახოვანი ადამიანი დაჩოქილიყო ერთ ცუგრუმელა ბარიშნის წინ და ტუფლის ბანტს უფსკვნიდა. თან საგანგებოთ მოჩლიქა ენა და ეარშიყებოდა. ამ დროს მატარებელიც მოადგა ბაქანს და უცნობი ზეზე წამოვარდა. შევხედე რა სახეზედ ვიცანი ჩვენი დაუდეგარი კავალერი ვიქტორი, გვერდი გავკარი, გევეხუმრე, იმანაც ჩაახველა, ჩაიცინა ულვაშებში და მატარებელს მიაშურა საპატიო სტუმრის შესახვედრათ. პროცესია საავადმყოფოსკენ გაეშურა, სადაც პატივცემულ სტუმრისთვის სადილი მზადდებოდა. საავადმყოფო სადღესასწაულო ყვავილებით იყო მორთული. რადგან პროცესია შესდგებოდა სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებიდან და თვით პატივცემული სტუმარიც არა ქართველი იყო, ამიტომ ამ დღეს ერმოლაი გრიგორიჩი ინტერნაციონალურად გამოწყობილიყო. ტანზედ გურული ჩოქურა ეცვა და წელში ფიშტო ჰქონდა გარჭობილი. ფეხებზედ ინგლისური „ბატფორტები", ჩოქურაზედ სერთუკი, ხელზედ თეთრი ხელთათმანები და თავზე კი ძველებური, ხევსურული ჩაჩქანი ეხურა. წელზედ გადაკიდებული ჰქონდა გუსარსკი პოლკის რგოლებიანი ლეკური; ციბრუტივითა ტრიალებდა, განკარგულებას აძლევდა წვრილ მოსამსახურებს და სიარულის დროს აჟღარუნებდა ლეკურის რგოლს.

ნაკლებ ფაცი-ფუცში არც სიმონ სპირდონოვიჩი იყო. გაფაციცებით უვლიდა ყველა საჭმლის ქვაბებს და „მიკროსკოპის" შემწეობით იკვლევდა და სინჯავდა, რათა შემთხვევით არ შეჰპაროდა რამე მავნე ბაცილები და სტუმართან არ შერცხვენილიყო. წვრილ მოსამსახურეთა შორის ყურადღებას იპყრობდა ერთი პალატის „სტოროჟი". ჩამომავლობით მეგრელი, რომელსაც დაყუდებულ ბერივით ჰქონდა მოშვებული თმა და წვერი. ამ აუარებელ სანოვაგეს უვლიდა გარშემო და თუ სადმე მოაფარებდა თავს, თვალის დახამხამებაზედ უშვებდა წითელ ნუნუას მოუკუპრავში.

გაიშალა სუფრა და წვეულ-რჩეულთაც მოაწიეს საავადმყოფომდის. დასხდენ სადილათ. ტოლუმბაშად ერთხმად ამორჩეულ იქმნა ერთი პატარა, ხაბურძაკივით მრგვალი,. ჩაფსკვნილი ჩინოვნიკი, რომელმაც თავისი რიხიანი „რეჩებით" აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. სჭექდა და ჰქუხდა, ვითარცა ელიბოს ზარბაზანი. მისმა უშველებელმა ყვირილმა უმარცხოთ არ ჩაიარა და ერთ დამსწრეთაგანს ყურის „ბარაბანი" გაუსკდა; ხოლო კალისტრატეს, отъ сильнаго сотрясенія воздуха კბილები შეენძრა და ერთი მათგანი კიდევაც ჩამოუვარდა. დიდი რეჩებისა და შექებ-შემოქების შემდეგ პროცესია დაიშალა და ათი საათის მატარებლით გაემგზავრა დიდებულ გვამთა სავანეში, ქალაქ საჩხერეთში. იქ რა ამბავი მოხდება ეს „სატანასათვის" მიმინდვია, რადგან პროცესიას ის გაჰყვა მზვერავად საჩხერეში.

მე კი ამ ამბით დიდი კმაყოფილი დავრჩი, რადგან პატივცემული სტუმრის მეოხებით გვეღირსა ქუჩების გადასუფთავება და წმინდა ჭაერის ყლაპვა. ამიტომ პატივცემულ პირთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რათა ხან და ხან ეწვიონ ხოლმე ჩვენ დაბას და თავისი სტუმრობით საშუალება მისცენ ბ. ვალოდიას მჭუხარე „რეჩებით" თავის გამოჩენის, ქალთა ავან-ჩავან ვიქტორს შავთვალათა წრეში ღლაბუცობის, ხოლო ჩვენ კი, ქვათურის მცხოვრებნი, მოგვანიჭონ სისუფთავე, რომელიც დიდებულთა მობრძანებას მოჰყვება მხოლოდ...

**ოლეირიცინ.**

—

**ლანჩხუთი.**

ოთხშაბათ დილა გათენდა,
რა კარგი დარი დგებაო,
ახალგაზდა თუ ბებერი
სიამით იღიმებაო.
რადგან აღდგომას იწვიმა,
მაგივრად დღეს იქნებაო,
სასეირნოთ გამოდის,
ჯგუფ-ჯგუფათ იკრიბებაო.
ლორთქიფანიძეც აქ არის,
ქუთაისიდგან მოსული,
ახლავს კოდრათი ცინცაძე
და ერთი-ორი ასული.
უჯიკიანეს ერთმანეთს
საქმე ჰქნეს მეტად ავიო—
ფატმანეს ფეხი მოსტეხეს,
დაუზიანეს თავიო.

**მეზობელი.**

---

## დ ე პ ე შ ა.

(ახირებულიას სააგენტო)

**ლანჩხუთი.** პეტრეს დუქანში გაიხსნა ახალი სამკერვალო, კარტის განყოფილებით, მასწავლებლათ მოიწვიეს ნიკოლოზ ურუშაძე, რომელიც კომფეტებით დატვირთული შავალამემდი წინა კარებიდან გადიგამოდის. ნაშუალამევს კი — უკანიდან.

---

## „მათრახის" ფოსტა.

ჩ ო ხ ა ტ ა უ რ ი — შოთას ბიძას. მეტად კაი გუნებაზე ყოფილხართ, „რომ ,,თქვენ ქამანჩას სტვირი აულია და ინტელიგენტებისთვის მიუღლილინებია''. როგორც ვატყობთ თქვენი ბიძა შოთა მეტად სუსტი ხასიათის უნდა იყოს, რომ ხშირ ხშირათ ყურებს არ გიწევთ უბრალოდ მელანს და ქაღალდს რომ ხარჯავთ.

ქ ი ა თ უ რ ა. გოგიას. საოხუნჯო პიესებს დავბეჭდავთ თუ კარგი იქნება. გამოგზავნე და ვნახოთ. ბოლოინდელი ლექსი არ დაიბეჭდება დღევანდელ პირობებში




ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა", მუხრანის ქ. № 12. რედაქტ.-გამომც. თ. ბოლქვაძე.